№ 103. 2 ივნისი, ხუთშაბათი. 1866 – 1883 2 ივნისი, ხუთშაბათი. № 103.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. შუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა. . 9 მ. | სამის თვისა. . . 3 მ.
ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა. . . 1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი. ასოთა-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე—ოცდა კაპ. [illegible] თუ საჭიროება მოიხდის—რედაქცია ბაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

«დროება» პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს ექვსი (6) მანათი.

ტელეგრამები

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 31 მაისს. მართლ მსაჯულებამ ადადგინა ჭეშმარიტება: კოწია ერისთავი და ძმანი შაშიკაშვილები გაამართლეს. საზოგადოება აღტაცებაშია სამჯავროს განჩინებისაგან და ვექილი გორდიევსკის სიტყვით. ეხლა ყველამ შეიტყო რა მდაბალის სულის გმირებმა შეთხვზეს ეს დრამა. გამართლებულნი სიხარულისაგან ქვითინებენ. ვექილი გორდიევსკი ხელით გამოიტანეს გარეთ.

(აგენტსგოსაგან)

პეტერბურღი, 31 მაისს. პეტერბურგის ობერ პოლიცმეისტერმა გრესერმა და მოსკოვისამ კოზლოვსკიმ გენერალ-ლეიტენანტობა მიიღეს.

გუშინ გადაიხადეს ისაკიევის სობოროს ოც-და-ხუთი წლის იუბილეი. სწირა მიტროპოლიტმა ისიდორემ. წირვაზედ დაესწრენ: მინისტრის ამხანაგი დურნოვს, ობერ-პოლიცმეისტერი, ქალაქის თავი და მრავალი ხალხი.

ჩვენ მოგვეიდა შემდეგი საყურადღებო წერილი ქუთაისიდამ.

რამდენი მაგალითია, რომ ერთ-რომელიმე გაიძვერა პირს სხვა-და-სხვა მანქანების ძალით დაუმორჩილებია, რომელიმე მთელი წოდების, ან საზოგადოების ნდობა და სწორედ იმ დროს, როდესაც ყველას ყურზედა სძინავს, ერთს ხრიკს გამოსდებს და პირში ლუკმას გამოაცლის. ამისთანა გმირების საწყევარი სახელები აჭრელებულია ამ უკანასკნელი დროის მატიანე. თუხანცევი, რიეოვი, მელნიცკი და სხვანი მრავალნი სათვალ-დათვალო მაგალითს წარმოგვიდგენენ ამის დასამტკიცებელს. სამწუხაროდ ჩვენშიაც მოჩანან იმისთანა გაიძვერა კაცები, რომელთაც დიდი სურვილი აქვსთ მელნიცკების სახელი მოიხვეჭონ. მაგალითებრ ქუთაისში ბრძანდება ეხლა ერთი საეჭვო კაცი და «სახელი მისი» Иак. Ф—ძე, რომელსაც, რაღაც ბრმა შემთხვევის წყალობით ერთი წოდების სული და ხორცი ხელში ჩაჰვარდნია და თვალებს უბამს. ამ წოდებასა ჰსურს ერთი სასწავლებლის გასახსნელად თანხა შეადგინოს და თავისი ცარიელი ქისიდამ ამ თავის ვექილს წელიწადში თორმეტ ათას მანეთს უგზავნის; ამ ვაჟბატონსაც ამოდენა ფული თავის საკუთარს სახელობაზედ შეაქვს საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. მიგვიქცევია ყურადღება, ვისიც ჯერ არს, თვალები აახილოს, თორემ ერთს დღეს ნაბადს გამოაცლის ბ-ნი Ф—ძე და მთელ წოდებას და მისგან განძრახულ სასწავლებელსაც რიყეზედ გაუშვებს.

ეს ჩვენ კი გვიყვილია და თუ Ф—ძემ «რა ქნას და ხვალ დილამ კი სცნას».

ქუთაისი 30 მაისს.

ახალი ამბები.

სეტყვისაგან მოსვენება აღარა აქვთ ჩვენის ქვეყნის იმისთანა მხარეებსაც კი, რომლებშიაც ეს მავნებელი ბუნების მოვლენა უწინ ძალიან იშვიათი იყო. ჩვენ მოგვეიდა ამბავი, რომ თითქმის ნახევარ რაჭა დაუსეტყვავს. რაჭა იმისთანა კუთხეა, სადაც ათ წელიწადში ერთხელ თუ მოვიდოდა სეტყვა და ისიც მცირე ალაგას. წრეულს კი მთელი ნახევარ რაჭა დასეტყვილა. რაღა ეს უნდოდა შარშანდელის სიმშილისაგან მწარედ შეწუხებულს რაჭას!

ქახეთიდამ გვწერენ, რომ სოფ. რუის-პირში ერთს მონადირეს თოფი უცოდილებია, გაჰვარდნია და იქ მდგომი თავისი ნათლული მოუკლავს, ცამეტის წლის ქალი.

ვლადიკავკაზიდამ გვატყობინებენ, რომ ცალკე კომისია შეუდგენიათ იმის გასაშინჯავად, თუ რომელი ალაგი სჯობია შეაერთონ ახალი რკინის გზით: ვლადიკავკაზიდან პირველი სტანციაა. ქამისიაში ყოფილან მოწვეულნი, როგორც ქალაქის წარმომადგენელნი, ისე ადმინისტრაციის წევრნი. ინჟინერს ქარნოვიჩს პროექტი შეუტანია, რომ ბერლანი სჯობია ვლადიკავკაზსო. ჯერ საქმე გადუწყვეტელია, მაგრამ ვლადიკავკაზის მოქალაქენი მეტად შეუწუხებია ამ პროექტს. რასაკვირველია, რომ თუ მართლა ეს გზა ვლადიკავკაზს ააცილეს, ბევრი ზიანი მოელის ამ ქალაქს.

დიდხანს იყო ლაპარაკი,—რომელი გზით უნდა შაეერთებინათ ვლადიკავკაზი ქავკასიის აქეთა მხარესთან. ბევრი უარეს ჩვენს მთებს, მაგრამ რომ ვერა გაუბედეს რა გადასწყვეტეს ახალი რკინის გზა ვლადიკავკაზიდამ დარუბანდზედ და პეტროვსზედ გაიყვანონ. ეხლა ფინანს-მინისტრს გამოუგზავნია კიდეც ინჟინერი მიხაილოვსკი სხვა მისი ხელ-ქვეითი ინჟინერებით ამ გზის გასაყვანად.

«დროების» კორესპონდენცია.

გორი. ჩვენი მაზრა, ნაცვლად იმისა, რომ წინ წაეწია, დამშვიდებულიყო და დამშვენებულიყო,—სულ უარ-და-უარ მიდის ზოგიერთა მხრით. მართალია დღემდინაც ისმოდა მრავალი სამდურავი მაზრის სხვა-და-სხვა უწესოებაზედ, მაგრამ ცეცხლით გადაწვა კი დღემდინ იშვიათი იყო; ეხლაკი ყველა მხრიდგან ამ გვარი ჩირაღდნები მოჩანს. ცეცხლით გადაწვა ისე ხშირია, რომ უნებურად, ლეკიანობის დროს მოგვაგონებს. რამდენ გვარ ზარალს გვაძლევს ეს ბოროტ-მოქმედება, ამას ყველა მიხვდება. ახლა ავიღოთ ქურდობა, ჩხუბები, რომლების შედეგიც ხან სიკვდილია, ხან დამახინჯება და ხან სხვა ათას ნაირი ზარალი. ამ გვარ მაგალითებსაც ამ ბოლოს დროში ხშირად ეხდებით. მაგალითად მოვიყვან ს. ხვითის საზოგადოებას, მდებიარეს ზორის მაზრაში, დიდ ლიახვის ხეობაში, ცხინვალის ზევით, რომ-ელიც ერისთავ-ბატონებს ეკუთვნოდა. ეს ადგილი ბევრ ბოროტ-მოქმედებას ეტანებ

ლიდგანაც ამ ბოლო ორ წელიწადში მოპარულა ას თუმნის ღირებულზედ მეტი სხვა-და-სხვა გვარი საქონელი. უბანი არ იპოვება (ამ პატარა სოფელში ცხრა უბანია) ამ სოფლის საზოგადოებაში, რომ ორსა და სამს არ დაეკარგოს თავისთვის ძვირფასი საქონელი. მე არა მგონია, რომ ამ უბედურებაში მარტო ეს სოფელი იყოს, ეს საყოველთაო სენია ჩვენის მაზრისა გლეხი კაცი, საზოგადოთ მხნელ მთესველი, უხარ-კამბეჩოთ რას გამოდგება? ან უნდა ვალი აიღო ერთი-ორად და შეისრულოს დაკლებული, ან არა და უნდა მიეცეს დამღუპავ ცხოვრების ზვირთს—სიღარიბეს. ორთავე ამ შემთხვევაში გლეხი კაცი დიდ გაჭირებაში ვარდება, რომლიდგანაც თავს ძნელად ამოიხსნის.

ახლა ავიღოთ სოფლის მაღაზიების მდგომარეობა, საიდგანაც დავრწმუნდებით, რომ ამათ ჯეროვანი სარგებლობა არ მოაქვთ ხალხისთვინ,

ამ მაღაზიების რიგიან გზაზედ დაყენება კი დიდს შეღავათს მისცემდა ჩვენ გლეხ-კაცობას. ყველა მხრიდგან მესმის სოფლის მაღაზიების უგვაროდ წარმოება და ცარიელობა; მაგალითად ს. ხეითის მაღაზიაში თითქმის არაფერი არ არის, თუმცა ორიოდე კოდი აქეთ-იქით გაუტანიათ, მაგრამ, როგორც ისმის, ისიც სამუდამოთ გაუტანიათ. ვინ არის ამის ყურის მგდებელი? თუ ვინმე მოიკითხავს, მოიკითხავს ქაღალდით თორემ თვალით არავინ რწმუნდება ყრია რამე მაღაზიებში, თუ არა. ზოგი ამის პასუხად მიმითითებს სოფლის მოხელეებზედ და მეტყვის: სოფლის მაღაზიების წარმოება მაგათი ვალიაო. მართალია ესეც და მრავალი სხვა კეთილი საქმეც იმათი ვალია, მაგრამ ისიც იქონიეთ სახეში, რომ თვით ამათაც არ ესმით ის, თუ როგორ უნდა აწარმოვონ ამ გვარი საქმე, ზოგნიც თითონა ხლართვენ საქმეს და ამით სასოფლო საქმე სულ უარ-და-უარ მიდის. საქმეც ეს გახლავთ, რომ სოფლის მოხელენიც ცუდნი არიან და იმათ დამრიგებელნიც ხეირიანი არავინა გვყავს.—სოფლის მოხელენი, რომ კარგნი გვყვანდნენ, მაშინ მრავალ-გვარი ბოროტმოქმედება მოისპობოდა. გარდა ამისა, შემცირდებოდა სხვა-და-სხვა გვარი საჩივრები, აწ მიმართულნი მომრიგებელ სასამართლოებში და სხვა ამ გვარ სასამართლოების ზემო ინსტანციებში. ამ გვარ მოქმედებით ბევრად შემცირდებოდა თვით მებრძოლების ხარჯიც. ამასთანავე სახეში ისიც უნდა მივიღოთ, რომ თავიანთ ენაზედ უნდა გაარჩიონ საჩივარი, რასაც დიდი შეღავათი აქვს გლეხებისათვინა. ვინც სოფლის წესდება იცის, ის ადვილად დამეთანხმება ამაზედ, ამიტომ რომ სოფლის მოხელეებს კარგი უფლებეები აქვთ მინიჭებული: შეუძლიანთ ათ თუმნამდინ ღირებულ საქმეში შევიდნენ და გაასამართლონ უკეთუ ორთავე მოწინააღმდეგე მხარეები დათანხმდებიან, შეუძლიანთ ოც-და-ათ თუმნამდინაც გაასამართლონ, თუ მოწინააღმდეგების საქმე სისხლით სამართალს არ ექვემდებარება. ამაზედ მეტად არც ავა მომეტებულ შემთხვევაში სოფლელების დავა ერთმანეთ-შორის. მაგრამ რას იზამ, როდესაც თავიანთ გაუგებლობისაგამო ვერ სარგებლობენ თავიანთ უფლებით ეხლანდელი მოხელეები.

ზემო ქართლელი.

(დასასრული შემდეგში იქნება).

სასამართლოს ხრონიკა.

საქმე თ. კ. ერისთავის და ძმანი შაშიკ-ოღლების ბათუმის ქალაქ-უმფროსის ბერსის სახლის თავ-დასხმის თაობაზე.

ვის არ ეხსომება შარშანდელი სეკტემბერში ბათუმში მოხდენილი შემთხვევა ბატ. ა. ბერსის სახლში; რომელიც მოცულია საიდუმლოების ზეწრით. გამოძიება ამ საქმისა დიდი ხანი არ არის რაც დასრულდა და გარდაეცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს-განჩინების დასადგენათ. დღეს 27 მაისს ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ, რომელიც დანიშნულია სისხლის სამართლის საქმეების გარჩევისათვის, განიხილა ეს ყველასათვის საყურადღებო საქმე! სამსაჯულოს შეადგენს თავმჯდომარეთ ბ. კ. ს. ტუტკევიჩი, წევრნი სამსაჯულოსი გ. ი. ზაიკა და მ. კ. გეგიძე, პროკურორი ა. ა. ლიდოვი. საქმის დაწყება თავმჯდომარემ გამოაცხადა დილის ათ საათზედ, ხალხი სავსეა მოსასმენათ, ბევრიც საგანგებოთ მოსულნი. ორივე სქესის წევრნი ყველა წოდებიდან გულ-მოდგინეთ და მოუთმენელათ მოელიან საქმის გარჩევას. მომრიგებელ სასამართლოს დარბაზში საკმარისი ადგილის უქონლობის გამო, საქმის გარჩევა დანიშნულია, ქალაქის მთავრობის-მიერ გახსნილ სკოლის დარბაზში.

აქა გამოჩნდნენ ხალხში ბრალდებულნი, რომელნიც კოპწიათ მოკაზმულნი, საპყრობილის მცველთ უმფროსის მხედველობაში ირიცხებიან. თ. კ. ერისთავი 23 წლის შნოიანი, ტანწვრილი, მარდი ახალგაზდა, თავისი მიხვრა-მოხვრით იზიდავდა მაყურებელთ თვალს,—თუმც ერთობ დასტყობოდა საპყრობილის არა სანატრი გავლენა, შაშიკ-ოღლი 28 წლის შუა-ტანის მარდი ახალგაზდა, გვიმტკიცებდა, რომ თუმც იმისათვის საპყრობილის გავლენას ბეჭედი დაუსვია, მაგრამ რაღაც იმედოვნება ეხუტებოდა სახეზედ. იმედით თავს იკავებს; ძმა ამ შაშიკოღლისა 23 წლის, რომელსაც ბრალდება კიდევ სხვა მკვლელობაში მონაწილეობის მიღება, თავის უმაწვილური შეხედულობით ყველას იზიდავს და კითხვას ბადავს: ნუ თუ ამისაგან ამდენ კაებასთან ბრძოლა მოსალოდინებელია? ბრალდებულთ დამცველნი არიან თ. კ. ერისთვის მხრით ვექილი პ. ტ. გორდიევსკი, და ძმანი საშიკოღლების მხრით ნაფიცი ვექილი ხელიტრინიკ—ვი.

სამსაჯულომ დაიწყო გარჩევა მოწმების გამოძახებით და იმათთვის წინადადების გახსენებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოწმებს და რა ნაირი პასუხისმგებლობაში ჩავარდებიან, თუ თავიანთი ცრუ-მოწმობით სამსაჯულოს გზას დაუბნევენ, მართლ-მსაჯულების აღსადგენათ.

მოწმების რიცხვი ოც-და-ჩვიდმეტია (37), რომლებიც შესდგებიან ყველა რჯულის ხალხისაგან და მომეტებულსთ პოლიციის ბანაკიდან, რომლებზედაც თავის დროზე ბ. ბერსს გავლენა უნდა ჰქონოდა. არ გამოცხადდნენ უმთავრესი მოწმები, ბ. ბესსი, მიზეზი ამ შემთხვევისა, და მისი მოახლე, ანუ უკეთ ვსთქვათ მისი დამხსნელი და ამ საქმეში პირველი არტისტის როლის მქონე გეგუა.

სხვათა შორის თავმჯდომარის კითხვაზე, თუ იმას ან ბრალმდებლებთან ან ბრალდებულებთან ხომ, ან მეგობრული, ან მტრული, ან ნათესაობრივი კავშირი არა აქვს.

მოწამე სალდათი: ,,Такъ точносъ Ваше благородіе‘‘ თავმჯდომარე: ,,რა ნათესაობაა შენსა და თ. ერისთავს, ან შაშიკ-ოღლისთა-შორის?‘‘

მოწ. სალდათი. ,,Никакъ нѣтъ Ваше благородіе‘‘ თავმჯდომარე. ძმა ხომ არ არის შენი თ. ერისთავი, ან შაშიკ-ოღლი?

მოწამე: Такъ точносъ Ваше благородіе (სიცილი და ხარხარი მაყურებლებში).

ყოველ ნაირი ცდა თუ თავმჯდომრის, თუ მოწმების ამაოდ დარჩათ და ვერ შეიტყეს ამ მოწამე სალდათს და ბრალდებულებთ, თუ ბრალმდებელთ შორის რა კავშირი სუფევდა, თუმც ამნაირ მოწამესაც მართლ-მსაჯულების სახეში ადგილი ჰქონდათ.

უმთავრესი მოწმების გამოუცხადებლობამ კ. ი. ბერსის და გეგუას მოუსვლელობამ კანონის ძალით მოითხოვა იმათი გამომძიებლისთვის ჩვენების სახალხოთ წაკითხვა.

ბერსის ჩვენება შეიცავს არა ორიოდე სიტყვას, არამედ მთელ რომანიულ მოთხრობას, ურიგო შინაურული ცხოვრების წყალობით გამწარებული კაცისას, რომელსაც მკითხველებს ცალკე სიტყვა

ურემი ჩაგივარდა... მერე რო შოლტი გაჰკარ და შვინდამ და თაფლამ ჯაჭვის საყევარი გაგლიჯეს?.. ჰაი, და ჰაი, ჯან ხარებო?.. თითონვე დაუმატებდ.—ის კი არა, ერთი ისა თქვი ი-ბუდამაყრის აღმართში, რო კინაღამ ურემი გადაგივარდა და ლომამ რო ცალ უღლივ აიტანა, ეტყოდა მეორე. ბელია ჯერ თვალ-საფერისათ უარს განაცხადებდა, მერე დაიწყობდა და ისე გატაცებული ლაპარაკობდა თითქო ამის მეტად არ ემბნა. მეხრეებიც იქვე კვალში პირქვე წამოეყრებოდენ და სულ განაბულნი ყურს უგდებდენ.

— წინათ, ბიჭებო, ესეთი ტაბაკივით გზა როდი იყო. ახლა რა—ბალღიც რო დაუსო და ბატონი ხოსოს ლაქიანი კამეჩი და კოჭლი ხარი შეუბა, ისიც კი გადაიტანს ჭავკავს ურემს. უწინ, ჩემო ძმო, თუ ბედაური ხარი და კამეჩი არა გყვანდა და თითონაც კაი ბიჭი არ იყავ, როგორ გაბედავდი ჭავკავს წასვლასა!.. ოჰ, ოჰ! უნდა გეყურებინათ რა ჭყივილ-კივილი და დავა, დავა! დადგებოდა ხოლმე ბუდამაყრის აღმართში. მივადგებოდით თუ არა იმ ჯოჯოხეთ აღმართს, სუყველანი ჩაუსამღლებდენ, თორე ყევრით ვინ აიტანდა. მე კი, წმინდი გიორგი ჰმადლმა, ერთხელაც არ მიმიშველებია: აქედან სხვის ხარები და იქიდან კეტი მამამიკრამს ურმიჰთვინა. მივადგებოდი თუ არა აქედან, გადაულიდი მთელ მაღალ წინა, გავკრამდი შოლტსა, დავჭყივლებდი ჩემ კამეჩებსა (აქ გელია ყოველთვინ, შედგებოდა და გულიანად ამოიოხრებდა) და რუსული ფოჰტივით გრიალს ავატაინებდი ქედზედ. იქიდანაც არც საყევარ ჩაუსხნიდი, არც კეტ გამუაკრამდი: მოიგდებდი ნაბდი ქუდს გვერდზედ, ჩამოუძღვებოდი წინ და არხეინათ დავიძახებდი:

«არ ეშინიან ლომასა
ღართიკრი თავდაღმართზედა,
ისე ჩაიტანს ურემსა,
როგორც რო კაკე გზაზედა»...

იმოდენა მილეთის ხალხი პირ-დაღებული მე და მიყურებდა ხოლმე; ნეტა სადაურია ეგ ბიჭიო? ეკითხებოდენ ერთმანეთსა. არაგველი გახლავართ-მეთქი, თავმოწონებით შავძახებდი მე... ჰეი, ტიალო დროებავ! კიდევ ამოიოხრა ბელიამ და განაგრძო. ერთხელ შვინდა ხარს ლურსმანმა უწია და იმის მაგივრათ ჭოტა წავიყვანე ჭავკავს. ჰა, იმისი გამამღებლის... წვენიაშვილს ამოუწყდეს ოჯახი! სომეხივით მამატყუა... ჩვენი სვიმონასავით ისეთი შნოიანი და მოხდენილი ხარი იყო, რო კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა, მაგრამ ჩვენ სვიმონაზედ უარესი ცივქედა იყო. როგორც პატარა გიჭირდებოდა, ის მაშინვე ხელნისთავებსა ჰკრამდა კურტუმსა და ხანჯალიც რო შაგეცა, ველარ გაატარებდი. ასი ფუთი, ქალაქელი სომხის ქირა მიდევს; ჩემებურათ შაუტიე და შავაგოგე ურემი.. ფრიალოს რო მივადექი, აკი გაუწყრა ჩემი გამჩენი და ამ ჭოტამ საყევარ არ ჩამიკეცა!.. გამოვკარ გაჯავრებულმა შოლტი და მარჯვენა ბარკალი დანასავით გაუსერა საწყეტმა. შენ ნუ მამიკვდე, ერთი ბარკალი კი შაიქნია ამ ხარმა და უფრო უკან წამოვიდა. დავხედე კამეჩები ველარ იმაგრებენ, ურემი ზედ კინწიროზედა დგას და ერთი მტკაველიც რო გადასცილდეს ყოი და ყორანიც ველარ მამნახამს. ეჰუ!.. თვალები ამიჭრელდა და თმა მაღლა წამივიდა!.. მარდათ გადავფრინდი უღელზედ და გაჯავრებულმა ისეთი გადავკარ ლომას იფნის სახრე, რო ი დევივით კამეჩი რწყილივით ამოფრინდა. იმ დალოცვილმა ერთი კი წამაიყროყინა, ასწია და ურემი, ხარები და თავის მეუღლე სუ იმან აიტანა. მაგრა... ვაი იმის დამნახველს! მე მარჯვენა გასახმობს თურმე ისეთი გადამეკრა, რო მხრის ძირში თითი სისქოთ გახეთქოდა და სისხლი წვეთობდა. საყვარელივით მოვეხვიე ჩემ ლომას, კაკალი თოლები ამოუკოცნე და ბალ-

სიტყვათ გარდმოსცემ დასასრულში. ბ. ბერსი თუმცა ძალიან ცდილა თავისი რომანული ცხოვრებით, შემდგარ ტრაგედიაში ერთობ გაეშვებინა თ. გ. ერისთავი და შაშიკ-ოღლი, სადაც თავისი ჩვენებით და მოუკასი მოწმების ჩვენებით ერთობ ცდილობს ამ შემთხვევას მისცეს სასე ,,გაცარცვის მიზნით მკვლელობის განზრახვა''. მაგრამ ამ უკანასკნელის დამტკიცების ტბიერებამ ორი სიტყვით გააქარწყლა სუსტ-სამირკვლზედ აშენებული გოდოლი ბაბილონისა. ბ. ბერსი ამტკიცებდა თავის ჩვენებაში ბრალდებული შაშიკ-ოღლის დამნაშავობას იმ გარემოებით, რომ ბათუმის წარჩინებულ პირებს უთხოვნიათ შაშიკ-ოღლის დანიშნა ბოლიციის პრისტავათ იმ აზრით, რომ კითომც, ეს შაშიკ-ოღლი სტნობდეს უკვლა ყაჩაღებს და აკაზაკებს და ბერსის ჩვენებით—კითომც თითონ არ დათანხმებულა, მაგრამ ბ. ღუბერნატორი ამ ხალხის აზრს დასთანხმებია და დაუნიშნავს მილიციის პრაპორშჩიკის ჩინით ბოლიციის პრისტავათ; მაგრამ რა შემდეგ ბ. ბერსი მართლა დარწმუნებულა იმის აკ ოთოკ-ქტეკაში, თავისეკე წინადადებით გამოუგზავნიებია სამსახურიდან, რის მიზეზითაც ბ. ბერსი თავის მოსისხლე მტრად სთვლიდა, როგორც თავისი შეამდგომლობით სამსახურიდან დათხოვნილი კაცისაგან და ბ. ბერსი თავის ჩვენებაში არა ერთხელ იმეორებს, რომ შაშიკ-ოღლი გამოგზავნილი იყო სამსახურიდან თავისი მიზეზით.

წამოიდგინეთ მაყურებლების გაკვირვება, როდესაც შაშიკ-ოღლის კექმა თავისი ბორთფელიდან ამოიტანა ქაღალდი და მაღლა ხმით დაიწყო იმ ქაღალდის კითხვა, რომელიც ბათუმის ბოლიციასკე მიუცია ბრალდებული შაშიკ-ოღლისთვის, რომ ის კარგი ოთოკ-ქტეკისა არის და ის თავისეკე სურვილით არის სამსახურიდან გამოსული.

სასამართლოს თავმჯდომარემ ამითი დახურა სხდომა და გამოაცხადა, რომ საქმის გარჩევა დაიწყება მოწმების კითხვიდან ნასადილევს შვიდ საათიდან. ამის თანხმად თავმჯდომარემ გამოაცხადა შვიდ საათზედ სასამართლოს გახსნა, მაყურებლები უფრო მეტია, დაიწყო მოწმების კითხვიდან, პირველი მოწამეა ბ. ბოდ. ბრისტავი გ. ბ. გეგენავა, რომლის ჩვენებამ სრული 2¼ საათი მოანდომა და თუ ბრალდებულის, თუ თავმჯდომარის, თუ წევრების, თუ ექიმების ათას ნაირ კითხვებით ახსნა, რომ ამ საქმეებში უპირველესი როლი ეკუთვნოდა ბ. გეგენავას და თავისი არეკ დარეული ჩვენებით ახსნა, რომ იმის ჩვენებაში და მოქმედებაში რაღაც სიდუმლეობა იფარება და არ წარმოსდგება იმ წეშმარიტებისაგან, რაც მართლ-მსაჯულებ ნამდვილი გზის გასაკვლევად თხოულობს.

საათის შვიდიდან კიდრე თერთმეტამდი მოასწრეს მხოლოდ ოთხი მოწამის კითხვა და თავმჯდომარემ გამოაცხადა სხდომის დაშლა მეორე დღის 10 საათამდე.

ბათუმი 27 მაისს.

(შემდეგი იქნება)

ნარევი

—

მაზეთი ყოველ საათს. ჩვენში ყოველ-დღიური გაზეთიც ძლივს ჩანჩალით მიდის და განათლებულს ევროპა-ამერიკაში კი, სადაც ცხოვრების ხარხი წისქვილის ბორბალზედ უფრო უმალ ტრიალებს, დღეში სამჯერაც გამოდის ზოგიერთი გაზეთი, თორემ დილა-საღამოს გაზეთის გამოსვლა ჩვეულებრივი მოვლენაა.

ახლა იმისთანა დარბაისელი ჟურნალი, როგორც «ჭთენეუმია» ლონდონში გვატყობინებს, რომ ერთს ლონდონის გაზეთის რედაქტიას განუძრახავს საათში ერთხელ ნომერი გამოსცეს!.. ეკვლა ნომერში სალიტერატურო წერილებს გარდა იქნება ახალ-ახალი დეპეშები და საბირჟო ცნობები.

თუ მართალი არ არის, მოგონილი მაინც კარგად არის!

—

ამერიკელი გაზეთების სისწრაფე. ლონდონის გამოჩენილი გაზეთი Times-ი გვატყობინებს, რომ 15 მაისს, კვირას, ერთს ლონდონში გამოჩენილს მქადაგებელს, სპიურგონს, ქადაგება უთქვამს, რომელიც მეორე დღეს ნიუ-იორკის გაზ. „New-jork-Herold''-ში სიტყვა-სიტყვითა ოთოვილა დაბეჭდილი.

ჩვენებურმა გაზეთმა როგორ შესრულა თავისი მოვალეობა, როდესაც ფოსტისა და ტელეგრაფის ურიგობის გარდა, სხვა ათასი მიზეზი უშლის ხელს. გუშინ საღამოს ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტისაგან დეპეშა მივიღეთ, რომელიც მაშინვე სტამბაში გავგზავნეთ და ასოს-ამწყობს ასე შემოეთვალა: რა დროს აწყობაა, კვირაძალმა მოატანა და მუშაობას ავუშვით!—რას გადასცემ სამშაბათს რომელი კვირის ძალია? შეკუთვალეთ.—მაშ რა არის, თქვე დალოცვილებო, ხუთშაბათს მთაწმიდობა არის და ესლა წუნეთს მოტანებული კიდეც იქნება, ვინაცვალეთ იმის მადლსაო.

წადი და ახლა შენ ელაპარაკე! ან კი რა გაემტყუნებათ, როდესაც ძველადვე ისე არიან დაჩვეულნი, რომ როგორც შემოდგომით მსუნაგი კამეჩი ბოსტანში, ისე ჩვენი ასოს-ამწყობნი სულ კალენდარში იყურებიან.

—

ძუდიანები პარიკში. ჩვენ გვამტყუნებენ გაუნათლებელი, ველური ხალხი ხართ და კუდიანები გეჯერთოთ. ე პარიკი რადა არის, რომ კუდიანებით სავსე ოთოვილა!?

ჯერ თოთხმეტი კუდიანი დაუჭერიათ და სხვებსაც ეძებენო. ზოგი მათგანი თურმე არწმუნებდა, ისეთი შელოცვა ვიცი, რომ თავის დღეში შვილი არ გაგიჩნდებათოო; და მიდი მიდს თურმე ედო იმის ხახლისკენ ქალებისა, რომელნიც სიამოვნებისთვის ოოკელთვის მზად არიან და რაც იმ სიამოვნებას მოვალეობა თან მოსდევს, ე. ი. შვილის შობა და გაზრდა, იმას კი ერიდებიან. ზოგს კუდიანს თურმე შელოცვილი ნალი ჭქონდა და ვინც იმას ერთს წუთს მაინც ხელში დაიჭერდა, იმ ქალის ბადეში იმ ღამეს სულ ცოცხალი კაპუტები გაებმებოდენ და ხუ. ჩვენ ეფერთმა დაგვიფიქროს, თორემ ჩვენთანაც ქვეყნებში მებადური ქალები მეტად ბევრია.

—მაგრამ ქალები მარტო კუდიანები არ გახლავან. ამ ცოტა ხანში, როგორც გვატყობინებს გაზ. ,,Kunjer Warszawski'', ერთს ექიმ ქალს, შთამომავლობით ინგლისელს, ერთი ისეთი შესანიშნავი და ძნელი აპერაცია შეასრულებია: ქალისთვის საშვილოსნო გამოუჭრია და ავადმყოფი ქალი ცოცხალი დარჩომილა.

ჩვენი ექიმები თუ კაცებია, ნეტავი ვისმე ფრჩხილი ისე მოსჭრან, რომ საიქიოს არ გაისტუმრონ.

—

ძურდობა ვიცი და დამალვა კი არაო. სწორედ ესე მოჰსვლია ერთს პარიელს ქურდს. იმ დალოცვილს ერთი მდიდარი კაცის პალტო სადღაც აუწყვნია და ჯიბეები არც კი გაუშინჯავს, ისე გაუქანებია პარიელი კასუმოვის კანტორაში დასაგირავებლად. კანტორაში ჯიბეები გაუშინჯავთ და შიგ აღმოჩენილა 3,000 ფრანკი.—ამდენი ფულის პატრონი პალტოს რისთვის აგირავებთო, უკითხნიათ და განცვიფრებულს ქურდს ენა პირში ჩავარდნია. რასაკვირველია, მაშინვე ხელი უტაცნიათ და წაუბრძანებიათ. სად? იქ, ბატონებო, სადაც ქურდობასთან დამალვის გაკვეთილებსაც ბევრს აიღებს უფასო პროფესორებისაგან.

კერძო საავადმყოფო

კუკიაში, სემიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ 10½-მდინ ნაკასარტინ—ხირურგიულ და კენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, უმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; 10½ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიო.

ღვით ტირილი დაიწყე. ერთი კუკიელი აღალბაში მოიდა და თორმეტი თუმანი ხელში მითოლა, მაგრა შვილს გავიღებდი და იმას კი ვერა... ბაჯაერებული ვეცი მერე ი ცოვქედა ჭოტას და თუ ხანჯალი ხელიდან არ გაეგდებინებინათ, იქვე ,ყელის გამოჭრას უპირებდი... მეხრეები გაფაციცებულნი უყურებდენ და იმათ თვალებში იხატებოდა შური და ნატვრა ბელიას ბიჭობის ისე ბედნიერად ჩავლილი დღეებისა...

ბუთნის დედობაშიაც არა ჰგვანდა სხვა გუთნის დედებს. ბისაც კაი ხარი და კამეჩი არა ჰყვანდა. ბელია არ შაიბამდა. ერთი კვალი რო ნელა გაევლოთ, მეორეზედ უნდა გაექციათ. იმიტომაც ბელიას ალო ყოველთვის ოთხი მანეთი ღირდა, თუმცა გადაჭრილი ფასი სამი მანეთი იყო. აი მიზეზიც იმ ჩხუბისა, რომელიც ბელიას გუთანზედ მოხდა, ბეცია ხუნდაშვილმა ალაევერდიდან შვიდ თუმნათ ისეთი ლეკური ირმა კამეჩი მაიყვანა რო ყველანი ათ თუმანს აფასებდენ. ბელიას მეალოე გლახუა დიდი ხანია უკრეჭდა კბილებს,—უნდოდა ეს ნაქები კამეჩი თავის შინ გარდილი შაქარასთვინ მეეხვედრებინა. დიდინნის სურვილი დღეს აასრულდა. დღეს ყამირში გიბიათ და აბა დღეს გამოჩნდება ვისი კამეჩიცა სჯობია, ამბობდა ბეცია და თავ-მოწონებით შასცქეროდა თავის ირმას, რომელიც იქვე ველზედ გაჭიმული იდგა ამაყათ დაუბღვრიალებდა შავთვალებს ულელში შებმულ კამეჩებს. საძირის კვალის კამეჩმა შაქარამ, თითქოს იცნო თავისი მოწინააღმდეგე, მიიხარა ულლიდან იმისკენ თავი და წაუყროყინა. ბელია და იმის მეხრეებისთვის ეს დიდი დღესასწაული იყო. დღეს უნდა გადაწყვეტილიყო იმ სოფელში ორ გამოჩენილ კამეჩში რომელი დამარცხდებოდა. ეს მოვლენა ისეთივე საინტერესო იყო ბელიას მეხრეებისთვის, როგორც შენთვის, ჩემო განათლებულო მკითხველო, სანატრელი და საინტერესოა ბამბეტას და ბისმარკის, ანუ ორი რომელიმე საქვეყნოთ გამოჩენილი მეცნიერების შეტაკება. აი იმედა შაქარას 'მაუბეს ველიდან. ბამოჩენილი მეხრე ბუგულა შაფრინდა ულელზედ და კამეჩები გამეტებით დარეკა. დაგუგუნდა სიხარულის ოროელა და ამ ბედაურ კამეჩებს თითქმის ულლივ სირბილით მიჰქონდათ გუთანი ამ დიდხან დაუძრავ ყამირში. კამეჩების პატრონები, სულ-განაბულნი, მისდევდენ გუთანს და ულელს თვალს არ აცილებდენ. მეოთხე კვალზედ იმედამ ენა წამაგდო—ეს ცუდი ნიშანია! იმედას წამოგდებული ენა ბეციას 'მომხამული ისარივით გულში ეცა, მაგრამ ბლახუას კი სიხარულით ციმციმი დააწყებინა. აგერ გუთანი ძიძოს მაგარ ძირს მეედო და შაფერხდა. ბუგულამ ეშმაკურათ ბლახუას თვალი ჩაუკრა დაფნის სახრე ეშხით გადაგრიხ-გადმოგრიხა ხელში, თანაც ზედ დასძახა:

«ხარი ჩასძახის ძიძოსა:
ღმერთმა ნუ გაგადიდოსა»!

მერე ჟინიანად მიიჩეჩ-მოიჩეჩა მხრებში და თითო ასეთი გადაჰკრა ორსავ კამეჩებს, რო კაცს ეგონებოდა გვერდები შეალეწოო. კამეჩები საშინლათ დაიმაგრნენ და აქ გამოჩნდა ბეციას კამეჩის სისუსტე: ორჯერ ზედი-ზედ დაეცა ჩოქზედ და ისევ წამოხტა. ბელიამ და იმის მეხრეებმა სიხარულის კიჟინა დასცეს გამარჯვებულ შაქარას, ბლახუა დაჭიმულ ღვედზედ გადახტა და თავის შაქარას ორივ თვალები დაუკოცნა. აი ეს გახლდათ იმ ჩხუბის მიზეზი, რომელმაც ჩვენი ჯერ უცნობი ყმაწვილი ღრმა ფიქრიდგან გამოიყვანა და ღიმილი მოჰგვარა პირზედ. მალე ჩხუბის ხმა მისწყდა.

დავით ხოსლანი.

ნოები მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ შშაკოვი—უმაწვილების და ულების ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ზსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპეიისა—ორუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბიევი სამშაბათობით და შაბათობით, საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ.-შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრაევატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. დარბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

განცხადებანი

თბილისის მეშჩანების გამგეობისაგან.

თანხმად ბ. თბილისის გუბერნატორის მოწერილობისა 28 მაისიდამ 1883 წ. № 7068, საყოველთაოდ ვაცხადებთ: 1) თუ ქავკასიისა და ქავკასიის აქეთა მხრის მილიციებში მოსამსახურე დაბალი ჩინისა ომში ჭრილობისაგან ისე დამახინჯდა, რომ აღარც შრომა შეუძლიან, არც სხვა საშუალება აქვს ცხოვრებისა, არც ნათესაობა, რომ უპატრონონ, მაშინ ეპატრონებათ 33 მუხ. თანხმად წესდებისა სამხედრო მოვალეობისა (уставъ о войнской повинности); 2) ქავკასიის მცხოვრებელთ იმ ოჯახებს, რომლებიდანაც ომის დროს მილიციებში შევიდენ, იმ წესით მიეცემათ შემწეობა, რა წესიც არის საზოგადოდ ზაპასში მყოფების და სახელმწიფო რაზმებში (государственное ополченіе) შესულების ოჯ ხების შემწეობისთვის ომიანობის დროს. (დამატება სამხედრო მოვალეობის წესდებისა 35 მუხ. 2 შენიშნეა.); და 3) ოჯახებს იმ მილიციონერებისა, რომელნიც წარსულს ოსმალეთის ომში, 1877 და 1878 წლებში უგეშოდ დაიკარგენ, შეეწეობის უფლება ექნებათ სამხედრო მოვალეობის წესდების 34 მუხლზედ შენიშვნის ძალით (გაგრძელება 1879 წ.).

მილიციონერებს, რომელთაც, ომის გათავების შემდეგ, დრუჟინები დაიშალა ბილეთები მიულიათ, მეშჩანების გამგეობა სთხოვს ის ბილეთები წარმადგინონ. (1—1)

მმართველობა «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» ამით აცხადებს, რომ, თანხმად მის გარდაწყვეტილებისა, წლიური კრება «საზოგადოების» წევრთა იქმნება 3 ივნისს, პარასკევს, საღამოს 8 საათზედ სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში, რადგან 25 მაისს დანიშნული კრება არ შესდგა კანონიერ რიცხვის წევრთ მოუსელელობისა გამო.

საზოგადო კრების განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები:

1) მოსმენა და დამტკიცება «საზოგადოების» საქმეთ წარმოებისა 15 მაისიდამ 1882 წ. 15 მაისამდე 1883 წ.

2) ახალ-წევრთ არჩევანი, და

3) მოსმენა და დამტკიცება მომავალის წლისათვის შედგენილის საერაუდო შემოსავალის და დასახარჯის ფულის სიისა.

«საზოგადოების» წესდების ძალით კრება კანონიერად შეირიცხება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. ბბ-ნთ წევრთ იქვე შეუძლიანთ შემოიტანონ მათ-მიერ ხვედრი წარსულის წლის საწევრო ფული. (2—2)

საშვალო ეასწავლებელ-ახლად-შესრულებულ ემაწვილ კაცს სურს ამ ზაფხულ ალლიოს

გაკვეთილები ძლიერ იაფ ფასად

მსურველთ შეუძლიათ თავიანთი ადრესის დატოვება ექ. ხელაძის სტამბაში. (5—4)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |